„დამტკიცებულია„
სს „ნიკორა"–ს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ
2023 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით

სააქციო საზოგადოება „ნიკორა ტრეიდი"

კორპორაციული ეთიკის შესახებ

დებულება

ქ.თბილისი
2023 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. კორპორაციული ეთიკის შესახებ დებულება (შემდგომში „დებულება") განსაზღვრავს ფასეულობების და ქცევის ნორმების სისტემას, რომელსაც ეფუძნება კომპანია თავის საქმიანობაში.

1.2. დებულების მიზანია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის პრაქტიკაში კორპორაციული ქცევის ტრადიციებისა და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დანერგვა, რაც აგრეთვე გულისხმობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არა მხოლოდ საკანონმდებლო მოთხოვნების, არამედ საყოველთაოდ აღიარებული მორალური წესებისა, ზნეობრივი ნორმების გათვალისწინებას, ასევე ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტების დანერგვას. დებულება ეხმარება კომპანიის აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, დირექტორატს/აღმასრულებელ დირექტორს და თანამშრომლებს (შემდგომში „მონაწილეებს") არეგულირონ თავიანთი ქცევა ყოველდღიური საქმიანობის იმ სფეროებში, რომლებიც არ არის ან/და ნაწილობრივ არის რეგლამენტირებული კანონებით, კანონქვემდებარე აქტებითა და კორპორაციული პროცედურებით და აგრეთვე იმ სფეროებში, სადაც პოტენციურად შესაძლებელია ინტერესთა კონფლიქტების წარმოქმნა.

1.3. დებულების ძირითადი მიზანია ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილება და პრევენცია.

1.4. კომპანიის მიერ მიღწეული ფინანსური შედეგები უაღრესად მნიშვნელოვანია. ამავე დროს დებულება ხაზს უსვამს იმას, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის მეთოდები/გზები/წესები თუ როგორ იქნება მიღწეული ეს შედეგები. დებულებაში მოყვანილი ეთიკური ნორმების დაცვა დიდად განაპირობებს მოგების სტაბილურ ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში და ასევე მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია.

1.5. კომპანიის პატიოსანი რეპუტაცია მისი ყველაზე ფასეული აქტივია და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის წარმატებისთვის. ის დაცული უნდა იყოს მისი ყველა მონაწილის მიერ ვინაიდან საზოგადოება აფასებს კომპანიას მისი მონაწილეების ქმედებებით. ერთი თანამშრომლის არასწორმა ქმედებამაც კი შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს წლების განმავლობაში მოპოვებულ რეპუტაციას. კომპანიის რეპუტაცია არ უნდა შეილახოს არცერთ სიტუაციაში და ამაში კომპანიას თანამშრომლების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული წესების შესრულება უნდა დაეხმაროს.

1.6. დებულება კომპანიის თითოეულ მონაწილეს ეხება და სავალდებულოა შესრულებისთვის. წინამდებარე დებულების დარღვევა იწვევს დისციპლინარულ სანქციებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ჩათვლით.

მუხლი 2. ძირითადი ეთიკური საკითხები

2.1 კომპანიის საქმიანობა დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

2.1.1 ნაკისრი ვალდებულებების უპირობო შესრულება და გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხის გარანტია;

2.1.2 პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შედეგსა და ხარისხზე;

2.1.3 პროფესიული საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

2.1.4 აბსოლუტური სანდოობისა და საიდუმლოდ მიჩნეული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა;

2.1.5 კორპორაციული მართვის დახვეწა/განვითარება;

2.1.6 ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობა.

2.1.7 საეჭვო რეპუტაციის მქონე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან საქმიან ურთიერთობაზე ნებაყოფლობითი უარის თქმა;

2.2 კომპანია თავის საქმიანობაში გამორიცხავს:

2.2.1 მოქმედი კანონმდებლობისა და საქმიანი ეთიკის ნორმების დარღვევას;

2.2.2 სამართლის ნორმებისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას;

2.2.3 კორუფციასა და ინსაიდერულ ვაჭრობას

2.2.4 ვინმეს კანონიერი უფლებების, კანონიერი ინტერესებისა და ღირსების ხელყოფას; ინტერესთა კონფლიქტს

2.2.5 უკანონო ან ზნეობის საწინააღმდეგო აქციებში, სოციალურად სახიფათო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობას;

2.2.6 საქმიანი პარტნიორების რეპუტაციის დამაკნინებელი ინფორმაციის გავრცელებას;

2.2.7 ძალისმიერი და სხვა უკანონო ან ზნეობის საწინააღმდეგო მეთოდებით საქმიანობის წარმოებასა და კონფლიქტური საკითხების გარჩევას;

2.2.8 მომხმარებლებისა და საქმიანი პარტნიორებისათვის დაუსაბუთებელი და კანონით გაუთვალისწინებელი პრივილეგიებისა და შეღავათების გაწევას;

2.2.9 საქმიანობას პოლიტიკური, რელიგიური, ნაციონალური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ;

მუხლი 3. ვალდებულება მომხმარებლებისა და საქმიანი პარტნიორების წინაშე

3.1 კომპანიის ურთიერთობა მომხმარებლებსა და საქმიან პარტნიორებთან დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

3.1.1 მათი მომსახურებისა და მათთან სამუშაო პროცესის ღიად, კეთილსინდისიერად და მათ მიმართ პატივისცემით წარმართვა;

3.1.2 მომსახურების გაწევა განურჩევლად სოციალური, რასობრივი, ნაციონალური, ენობრივი, რელიგიური და ა.შ. კუთვნილებისა, აგრეთვე სქესის, საცხოვრებელი ადგილის, საზოგადოებრივ გაერთიანებებში მონაწილეობისა და ა.შ. მიუხედავად;

3.1.3 გაწეული მომსახურების/კომუნიკაციის/თანამშრომლობის პროცესის შესაბამისობა საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებთან;

3.2 მომხმარებელთა და საქმიანი პარტნიორების საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

3.2.1 კომპანიის მიმართ წარმოქმნილი ნებისმიერი საჩივრებისა და პრეტენზიების ჯეროვანი ყურადღებითა და დროულად განხილვა;

3.2.2 საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვის გამჭვირვალე, გასაგები და ქმედითი პროცედურის შემუშავება;

3.2.3 საჭიროების შემთხვევაში მომხმარებლისათვის საჩივრის ან პრეტენზიის წარდგენის ფორმასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა;

3.2.4 წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციების ყურადღებითა და დროულად განხილვა და ხარვეზებისა და საზიანო შედეგების აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომების დაუყოვნებლივი მიღება;

3.3 კომპანიის ერთ–ერთ მთავარ მოთხოვნას თანამშრომლების მიმართ საქმიან პარტნიორებთან მუშაობაში წარმოადგენს მათთან დაკავშირებული საქმიანი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

3.4 კომპანიის მონაწილეების ვალდებულებაა:

3.4.1 მიიღოს ან მოიპოვოს ინფორმაცია საქმიან პარტნიორზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მისი სამუშაო ფუნქციების შესრულება მოითხოვს;

3.4.2 უზრუნველყოს მიღებული ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა;

3.4.3 უზრუნველყოს კონფიდეციალურობა მოლაპარაკებების დროს და გარიგებების დადებისას;

3.4.4 სამუშაო პროცედში მიღებული ინფორმაციის დამუშავება, დაცვა და გადაცემა განახორციელონ მათთან არსებული შრომითი ხელშეკრულებისა და კომპანიის მიერ შემუშავებული წესების/რეგლამენტების/დებულებების დაცვით.

მუხლი 4. ვალდებულება მონაწილეების წინაშე

4.1. კომპანიის მონაწილეთა ურთიერთობები უნდა ეფუძნებოდეს პატივისცემას, ზრდილობის ნორმებსა და პატიოსან მოპყრობას. კომპანია გმობს და გამოვრიცხავს დისკრიმინაციისა და დევნის ნებისმიერ ფორმას.

4.2. კომპანიის თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას კომპანიის „მონაწილეებთან" დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

4.3. სამსახურში მიღებისას, თანამშრომლების შრომის ანაზღაურებისა და მათი თანამდებობრივი ზრდის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას სრულიად უნდა გამოირიცხოს პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური, ნაციონალური, სქესობრივი ან რაიმე სხვა სახის დისკრიმინაცია;

4.4. განუხრელად უნდა სრულდებოდეს თანამშრომლების მიმართ მოქმედი კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

4.5. თანამშრომლებისათვის უნდა შეიქმნას ისეთი სამუშაო პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ მათ შემოქმედებით ზრდას, ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და სოციალურ კეთილდღეობას.

4.6. კომპანია აგებს ურთიერთობას თანამშრომლებთან ინტერესების ურთიერთპატივისცემისა და უფლებებისა და ვალდებულებების ბალანსის დაცვის საფუძველზე, მოქმედი შრომითი კანონმდებლობის დაცვით.

4.7. დებულებით გათვალისწინებული პრინციპების უზრუნველსაყოფად კომპანია თანამშრომლებისგან მოითხოვს:

4.7.1. კომპანიის შინაგანაწესისა და სხვა აქტების/დოკუმენტაციის/მითითების/დებულების დაცვას;

4.7.2. მათი პირადი სამსახურეობრივი მოვალეობების კეთილსინდისიერ შესრულებას;

4.7.3. დავალებების მიმართ შემოქმედებით და ინიციატივიან მიდგომას;

4.7.4. კომერციული საიდუმლოს დაცვას;

4.7.5. პროფესიული დონის მუდმივ ამაღლებას;

4.7.6. კომპანიის ქონებისადმი ფაქიზ და მზრუნველ დამოკიდებულებას;

4.7.7. კორპორაციული კულტურის დაცვას;

4.7.8. სამუშაო საათებში არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის გამორიცხვას;

4.7.9. აკრძალული პრეპარატების მიღების გამორიცხვას;

4.7.10. კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად მოქმედებას საქმიანობის განხიციელების ნებისმიერ ეტაპზე.

4.8. დებულებით გათვალისწინებული პრინციპების უზრუნველსაყოფად კომპანია ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისაგან, გარდა წინამებარე დოკუმენტის 4.7 პუნქტით გათვალისწინებული საკითხებისა, დამატებით მოითხოვს:

4.8.1. საწარმოს და აქციონერთა/პარტნიორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედება.

4.8.2. არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებასა და მისი გამოვლენას.

4.8.3. კორუფციის აღკვეთას, რომელიც მოიცავს ქრთამის, საჩუქრების თუ სხვა სახის სარგებლის შეთავაზებასა და მიღებას;

4.8.4. სწრაფი და ადექვატური რეაგირება თანამშრომლების მიერ გამოვლენილ უკანონო ან არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით

4.8.5. საწარმოს ინფორმაციისა და სხვა მატერიალური თუ არამატერიალური აქტივების დაცვა და მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფა.

4.8.6. საწარმოს საქმიანობის პროცესების შესაბამისობის უზრუნველყოფა კანონმდებლობასთან.

4.9. აქციონერების წინაშე კომპანია თვლის თავს ვალდებულად:

4.9.1. უზრუნველყოს აქციონერების თანაბარი უფლებები კომპანიის მართვის პროცესში მოქმედი კანონმდებლობისა და კორპორაციული მართვის პრინციპების შესაბამისად;

4.9.2. არ დაუშვას აქციონერების უფლებების (მიუხედავა წილის სიდიდისა) ხელყოფა;

4.9.3. მიაღწიოს მაქსიმალურ გამჭვირვალობას კომპანიის მმართველობითი ორგანოების მუშაობაში და შექმნას პირობები კომპანიის მუშაობის შესახებ ინფორმაციის დადგენილ ფარგლებში დაუბრკოლებელი მიღებისათვის;

მუხლი 5. ვალდებულება კომპანიის წინაშე

5.1. კომპანიის შესახებ ინფორმაციის კონფიდეციალურობა:

5.1.1. ნებისმიერი არასაჯარო ინფორმაცია კომპანიის შესახებ კონფიდენციალურია და მონაწილეებს ევალებათ მისი დაცვა.

5.1.2. ინფორმაცია, რომელსაც მონაწილეები ფლობენ კომპანიის მუშაობისა და გეგმების შესახებ მხოლოდ იმ ორგანიზაციებისათვის შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი, რომლებისთვისაც ეს წარმოადგენს „აუცილებელ ინფორმაციას" კომპანიის მიმართ მათი მოვალეობების შესასრულებლად ან კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

5.1.3. იმ შემთხვევაში თუ მონაწილეს უჩნდება კითხვა, რომელიც დაკავშირებულია „აუცილებელი ინფორმაციის" გაცემასთან – მან უნდა გაიაროს კონსულტაცია ხელმძღვანელთან.

5.2. კომპანიის აქტივების დაცვა:

5.2.1. მონაწილეები სათანადოდ უნდა გაუფრთხილდენ და დაიცვან კომპანიის ქონება და აქტივები

5.2.2. კომპანიის აქტივებს შეადგენენ (მაგრამ არ არის ლიმიტირებული ამ სიით) :

- კომპიუტერული პროგრამები;
- მომხმარებელთა და საქმიანი პარტნიორების სია ან ინფორმაცია მათზე;

- მონაცემთა შენახვის სისტემები;
- მონაცემთა ბაზები;
- მოწყობილობა/აღჭურვილობა;
- ავეჯი;
- დოკუმენტები;
- იდეები;
- ინოვაციები;
- ინტელექტუალური საკუთრება;
- ფული და ფონდები;
- ჩანაწერები;
- დაკავშირებული დოკუმენტები;
- ანგარიშგებები;
- ძირითადი საშუალებები;
- ტექნიკა;
- კორპორაციის კუთვნილი ინფორმაციული სისტემები, მათ შორის ელ.ფოსტა და ინტერნეტი.

5.2.3. ნებისმიერი აქტივი, რომელსაც მონაწილე შექმნის კომპანიისათვის ან კომპანიის რესურსების გამოყენებით, არის კომპანიის საკუთრება და რჩება მის საკუთრებაში მაშინაც კი როდესაც მონაწილე ტოვებს კომპანიას.

5.3. მონაწილეებმა არ უნდა:

5.3.1. მოიპარონ, დახარჯონ ან მიითვისონ კომპანიის ფულადი ან სხვა ფასეულობები;

5.3.2. გამოიყენონ კომპანიის საკანცელარიო ნივთები, კორპორატიული ნიშნები, დოკუმენტები ან კომპანიის სახელი უნებართვოდ;

5.3.3. გამოიყენონ არამართებულად კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები (ინტერნეტი, ელ. ფოსტა, ტელეფონი და სხვა) – კომპანიის კუთვნილი საკომუნიკაციო სისტემები პირველ რიგში გამოიყენება საქმიანი მიზნებისათვის;

5.3.4. გააკეთონ ჩანაწერები ინფორმაციის ელექტრონულ მატარებლებზე ნებისმიერ დროს ნებართვისა და დავალების გარეშე;

5.3.5. გამოიყენონ კომპანიის აქტივები პირადი სარგებლობისა ან/და მოგებისათვის;

5.4. ინტერესთა კონფლიქტი:

5.4.1. კომპანიის პოლიტიკა განსაზღვრავს, რომ ყველა მონაწილემ უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები ისე, რომ არ წარმოიშვას რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი, არც რეალური და არც სავარაუდო.

5.4.2. როგორც კომპანიის მონაწილე, თანამშრომელმა უნდა გაიაზროს და გაითვალისწინოს, რომ ინტერესთა კონფილქტი წარმოიშვება მაშინ, როდესაც მისი პირადი ინტერესები ან ქმედება ეწინააღმდეგება ან იკვეთება (ან შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ან იკვეთებოდეს) მის მოვალეობებთან კომპანიის, აქციონერების, მომხმარებლებისა და საქმიანი პარტნიორების მიმართ (ან კომპანიის, აქციონერების, მომხმარებლებისა და საქმიანი პარტნიორების ინტერესებს).

5.4.3. ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას მაშინაც კი, როდესაც მონაწილეს მიერ ხდება კომპანიის ინტერესების შეჯახება მისი მომხმარებლებისა და საქმიანი პარტნიორების ინტერესებთან ლეგიტიმური მიზეზის გარეშე. ასეთმა ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს მისი პასუხისმგებლობა ან მისი მოვალეობების შესრულების შეზღუდვა.

5.4.4. შეუძლებელია ყველა იმ ქმედების განსაზღვრა, რომელიც წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტს (ეჭვის შეპარვის შემთხვევაში, მონაწილემ უნდა გაარკვიოს საკითხი მის ხელმძღვანელთან სანამ იმოქმედებს). მაგალითები ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური წარმოშობისა, რომელთაც თავი უნდა აერიდოს, არის:

a. ინფორმაციის გაცემა და გავრცელება – ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როდესაც მონაწილე საჯაროს ხდის გარკვეული სახის ინფორმაციას კომპანიის შესახებ, რომელზეც აქვს წვდომა თავისი პოზიციიდან გამომდინარე. არ უნდა გასცეს ან გაანდოს საზოგადოებას კომპანიასთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის მომხმარებლებთან, საქმიანი პარტნიორებთან, საბაზრო მდგომარეობასთან და ბიზნეს პროცესებთან. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთ ინფორმაციას გასცემს შემთხვევით ან დაუდევრობით – შეიძლება წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;

b. კომპანიის გარეთ ურთიერთობა და კავშირების დამყარება – ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას იმ ურთიერთობებიდან, სამსახურიდან ან სხვა კავშირებიდან გამომდინარე, რომელთაც მონაწილეები ახორციელებენ კომპანიის გარეთ;

c. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვება მაშინაც კი, როდესაც მონაწილე ან მისი ოჯახის წევრები იღებენ არასამართლიან სარგებელს კომპანიაში თავისი პოზიციიდან გამომდინარე;

d. ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას მომწოდებლებთან და მომსახურე კომპანიებთან ურთიერთობის შედეგად. თუ მონაწილეს აქვს უფლება მომწოდებელ ან მომსახურე კომპანიებს მისცეს ან დაუმტკიცოს შეკვეთა, გაუფორმოს კონტრაქტი და მისცეს დავალება. იმისათვის, რომ მონაწილემ თავიდან აიცილოს რაიმე სახის რეალური ან შეგნებული ფავორიტიზმი მან უნდა იმოქმედოს ობიექტური ბიზნეს სტანდარტების დაცვით;

5.4.5. როგორც კომპანიის მონაწილე, თანამშრომელმა კომპანიის თანხმობის გარეშე:

a. არ უნდა იმოქმედოს სხვა კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ ნებისმიერი გარიგების დადებისას თუ ეს არ შედის მის მოვალეობებში. მან უნდა შეატყობინოს მის ხელმძღვანელს ან მოითხოვოს მისი დასტური მანამდე სანამ:
   - განიხილავს დამატებით შემოთავაზებას კომპანიის გარეთ მუშაობის შესახებ;
   - ჩაერთვება დამოუკიდებელ ბიზნესში;
   - შეასრულებს სამუშაოს სხვა კომპანიის სასარგებლოდ.

b. არ უნდა დაუშვას ასეთი სახის ქმედებები და კავშირები სამუშაო საათების დროს ან სხვა რაიმე საქმე, სამოქალაქო ან საქველმოქმედო ქმედებები, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებას.

c. არ უნდა მიიღოს საჩუქარი ფულის, ფასდაკლებებისა და არაფულადი სახით როგორც ამჟამინდელი ასევე მომავალი:
   - მომწოდებლებისაგან;
   - მომსახურე კომპანიებისგან;
   - სახელმწიფო პირებისა და ორგანიზაციებისაგან.

d. არ უნდა დათანხმდეს სტუმრობაზე ან გართობაზე როგორც ამჟამინდელ ასევე მომავალ მომწოდებლებს თუ მომსახურე კომპანიებს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ეხება კომპანიისთვის მნიშვნელოვან მოლაპარაკებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობას.

e. არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ისეთ ღონისძიებებში, რომლებიც ნეგატიურად აისახება კომპანიაზე.

მუხლი 6. პოლიტიკური საქმიანობა

6.1. კომპანია აღიარებს მისი მონაწილეების მოქალაქეობრივ უფლებებსა და მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებას და არ ეწინააღმდეგება მათ აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში.

6.2. მიუხედავად ამისა, ყველა მონაწილემ უნდა მიიღოს უსაფრთხოების ორი ზომა ასეთი მოქმედებისას:

- ქმედება არ უნდა უშლიდეს ხელს მის სამუშაო პროცესს კომპანიაში;
- უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე რათა არავითარ შემთხვევაში არ დააკავშიროს კომპანია საკუთარ პოლიტიკურ მოქმედებებთან.

6.3. აკრძალულია კომპანიის ქონების გამოყენება პოლიტიკური კამპანიის საწარმოებლად.

6.4. მონაწილეებს კანონმდებლობის ფარგლებში უფლება აქვთ გაიღონ პერსონალური შეწირულობა ნებისმიერი პოლიტიკური კანდიდატის ან პოლიტიკური ორგანიზაციის სასარგებლოდ, როგორც პირდაპირ ასევე საბანკო ტრანზაქციის მეშვეობით.

6.5. მონაწილემ არ უნდა მისცეს ფული ან შეპირდეს სხვა რაიმე ღირებულს ნებისმიერ აღმასრულებელს, სახელმწიფო წარმომადგენელს ან სახელმწიფო მუშაკს, ორგანიზაციას, პოლიტიკურ პარტიას ან კანდიდატს, თუ აღნიშნული ფაქტი პირდაპირ ან ირიბად ახდენს ზეგავლენას კომპანიის საქმიანობაზე.

მუხლი 7. თანამშრომელთა ვალდებულება კომპანიისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე

7.1. ყველა მენეჯერი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს საკუთარ დეპარტამენტში წინამდებარე დებულების პრინციპების გატარებას. კომპანიის ყოველი თანამშრომლის მოვალეობაა სწრაფად მიაწოდოს ინფორმაცია ამ დებულების დარღვევის ან საეჭვო ქმედებების ფაქტების შესახებ უშუალო ხელმძღვანელს ან კომპანიის ნებისმიერ ადმინისტრატორს კონფიდენციალურობის სრული დაცვით. ასეთ ქმედებებს განეკუთვნება, მაგრამ არ არის ლიმიტირებული: თაღლითობა, ცრუ ჩანაწერი, არსებითი შეცდომა, გაფლანგვა, ცუდი ყოფაქცევა ან ნებისმიერი ქმედება ან ფაქტი, რომელიც მიუღებელი და ზიანის მომტანი შეიძლება იყოს კომპანიისათვის.

7.2. ნებისმიერი მონაწილე უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს.

7.3. კომპანიისათვის ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ანონიმურად, ნებისმიერი ფორმით.

7.4. დებულების დარღვევის ან საეჭვო ქმედებების ფაქტების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის მიღების შემდეგ, კომპანია უზრუნველყოფს სათანადო წესით გამოკვლევას, ჭეშმარიტების დადგენას და უკანონო/შეუსაბამო/არაეთიკური ქცევის/ქმედების დადასტურებულ ფატზე ახდენს სათანადო რეაგირებას - ატარებს კომპანიის შინაგანაწესით გათვალისწინებულ დისციპლინარულ ღონისძიებებს.

7.5. მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებიით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

8.2 წინამდებარე დებულებაში ყოველი ცვლილება ან დამატება მოითხოვს წერილობით ფორმას.

8.3 წინამდებარე დებულება შემუშავებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. დებულებაში ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ სამეთვლაყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

8.4 წინამდებარე დებულების სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვამყურეო საბჭომ.

8.5 დირექტორთა საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.

8.4 წინამდებარე დებულება წარმოადგენს კომპანიის შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს, რომლის გაცნობა მონაწილეების მიმართ, ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვასილ სუხიაშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე